

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISSN 0134 – 4943

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XXV

თბილისი
„მეცნიერება“
1986

ბ. ჯორბენაძე

ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის

§1. ტოპონიმთა კლასიფიკაცია იმ საკითხთა რიგს განეკუთვნება, რომელთაც თავიდანვე დაიმსახურეს განსაკუთრებული ყურადღება და ამიტომაც ამ თვალსაზრისით სპეციალური გამოკვლევების სიმცირე არ იგრძნობა.

მასალის ნაირგვარობა, წარმოების განსხვავებული საშუალებები და, რაც მთავარია, მოტივების სხვადასხვა საფუძველი იმთავითვე განაპირობებს კლასიფიკაციის რამდენიმე სახეობის არსებობას.

ტოპონიმთა კლასიფიკაცია სამი ძირითადი პრინციპით ხდება:

- ა) ფორმობრივი,
- ბ) შინაარსობრივი,
- გ) გენეტური (ანუ: მოტივაციური).

§2. ტოპონიმთა ფორმობრივი კლასიფიკაცია, თავის მხრივ, სამ ასპექტს მოიცავს:

- ა) ტოპონიმთა ფონეტიკური თავისებურებების კვლევა,
 - ბ) ტოპონიმთა სიტყვათწარმოებითი საშუალებების ანალიზი,
 - გ) ტოპონიმთა ფორმათწარმოებითი ინვენტარის შესწავლა.
- თითოეული მათგანი სათანადო განხილვას მოითხოვს.

§3. ტოპონიმთა ფონეტიკური თავისებურებების კვლევა ორ საკითხს განარჩევს:

- ა) ტოპონიმთა ფონემატური სტრუქტურის გარკვევას,
- ბ) ტოპონიმებში გამოვლენილი ფონეტიკური პროცესების განხილვას.

§4. ტოპონიმი და, საერთოდ, ყველა საკუთარი სახელი ენის ლექსიკური ფონდის თავისებურ ჯგუფებს ქმნის. ამ ჯგუფს ზოგი არსებითი თავისებურება ახასიათებს, მაგრამ ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ერთზე. თავისი ბუნებით საკუთარი სახელი ინტერნაციონალური ლექსიკის კუთვნილებაა და ამის მიზეზი უპირველესად მისი უთარგმნელობაა. იმავდროულად ყველა ენაში საკუთარ სახელს შეაქვს ის ფონეტიკური თავისებურებები, რომლებიც მას ფუძემენისაგან აქვს მიღებული, თუმცა ამასთანავე მსესხებელი ენის ბუნებასაც ემორჩილება. **მიქეთი** ტოპონიმში რუსულისათვის უჩვეულო კომპლექსი მაშინვე წარმოაჩენს ამ სიტყვის უცხო წარმომავლობას, მაგრამ იმავდროულად

#13

იგივე წყ ბგერათკომპლექსი რუსული ბგერით თავისებურებებსაც ითვალისწინებს წყ ძხ.

განსაკუთრებით ფასეულია ეს საკითხი სუბსტრატული ტოპონიმის შესწავლისას, ასევე ენის ისტორიისათვის. ცდაც იყო, რომ გარკვეული ენობრივი რეგიონის ტოპონიმებში შემორჩენილ უჩვეულო ბგერათკომპლექსების საფუძველზე აღედგინათ გამქრალი ენისა თუ დიალექტის ფონეტიკური სისტემა. ისეც მოხდა, რომ ენა თანდათანობით შეიგუებს უცხო წარმომავლობის ტოპონიმს და ფონეტიკურად თავის ყაიდაზე შეცვლის მას. ასე იქცა, მაგალითად, ჩრდილო ისეთში ტოპონიმი „ვაკე“ ტოპონიმად „უაჭე“. ცნობილი ფაქტია აგრეთვე: „სტამბოლი“ თურქულად გამოითქმის როგორც „ისტამბულ“...

§5. ტოპონიმებში გამოვლენილი ფონეტიკური პროცესების განხილვა ორმხრივ იმსახურებს ყურადღებას.

ჯერ ერთი, ტოპონიმებში სრულად აისახება ხოლმე დიალექტური თავისებურებანი და ამ თვალსაზრისით ტოპონიმები სათანადო მასალას წარმოადგენენ კილოების ენათმეცნიერული შესწავლისათვის.

გარდა ამისა, ტოპონიმებში გამოვლენილი ფონეტიკური პროცესები ერთ–ერთი ანგარიშგასაწევი წყაროა ისტორიული დიალექტოლოგიისა და, საერთოდ, ენის ისტორიისათვის.

მართო ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოში ზოგიერთი ტოპონიმი გვიმოწმებს ვა → ო მონაცვლეობას, ე.ი. ფონეტიკურ მოვლენას, რომელიც არ არის დამახასიათებელი ამ რეგიონის თანამედროვე დიალექტებისათვის, მრავლისმეტყველია

და ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი: საზორ–ე || სა–ზვარ–ე, სა–მღორა–ულ–ი || სა–მღვარა–ულ–ი (ზემოიმერეთში), ღორწყალ–ი || ღვარწყალ–ი (რაჭაში) და ა.შ.

ამ რიგისაა მრავლობითი რიცხვის ფორმანტების –ებ : –ევ მონაცვლეობაც. სწორედ ტოპონიმების განხილვის საფუძველზე ასკვნის ა. შანიძე, რომ ისტორიულად მოიძევებოდა ქართული ენის კილო, სადაც მრავლობითი რიცხვის ფორმები –ევ სუფიქსით იწარმოებოდა: ვაშლ–ევ–ი, ძეგლ–ევ–ი და მისთ.

§6. ტოპონიმთა სიტყვათწარმოებითი ინვენტარის შესწავლა შეაპირობებს ტოპონიმების დაჯგუფებას სიტყვათწარმოებით კლასებად. ესაა ერთ-ერთი ხერხი საკუთრივ ტოპონიმიკური წარმოების შესწავლისა ისე, რომ არ მოხდეს მისი შენაცვლება ტოპონიმისათვის ამოსავალი საზოგადო სახელის კვლევით. გარდა ამისა, იგი ძირითადი საშუალებაა უცნობი წარმომავლობის ტოპონიმთა ენობრივი განხილვისა.

#14

წარმოების პრინციპების მიხედვით საქართველოს ტოპონიმთა თანამიმდევრულ მეცნიერულ შესწავლას ივანე ჯავახიშვილმა დაუდო სათავე და ამის საფუძველზე საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხებიც გაარკვია. მანამდე კი ძირითადად ტოპონიმთა ეტიმოლოგიური ძიებებით კმაყოფილდებოდნენ. მეტიც: ი. ჯავახიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა ტოპონიმთა მნიშვნელობა ერის ისტორიის კვლევისათვის და ჩამოაყალიბა კიდევ დებულება, რომელსაც არსებითი მეთოდოლოგიური ღირებულებაც აქვს: „გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგიების წამოყენებისა და პირველადი მნიშვნელობის გამორკვევის დროს მკვლევარმა უპირველესად ამა თუ იმ ადგილის მდებარეობისა და თვისების დამახასიათებელი გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს და ჩაუკვირდეს სხვა იქაურ მსგავსივე გეოგრაფიული სახელების აგებულებასა და მნიშვნელობას“.

მრავალმხრივ საყურადღებოა ის საშუალებებიც, რითაც ი. ჯავახიშვილი ახდენდა ტოპონიმთა სეგმანტაციას. მათგან ზოგიერთი (კერძოდ, სიტყვის დაშლა განმეორებადი ფუძისა ან განმეორებადი აფიქსის მიხედვით) დღესაც ფართოდ გამოყენებული საშუალებაა.

სწორი მეთოდოლოგიური ბაზა და მეცნიერული გეზი ნაყოფიერი წინამძღვარი აღმოჩნდა საქართველოს ტოპონიმიის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. დადგინდა –ევ, –თა, –ონ სუფიქსების დანიშნულება ქართველურ ენათა ტოპონიმებში, გაირკვა –იმ || –შ სუფიქსის ფუნქცია, გამოიყო ქართულ ჰიდრონიმთა ძირითადი მაწარმოებლები, უცხო წარმომავლობის აფიქსები აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში, მოცემულია ცდა საქართველოს ტოპონიმიის წარმოების ზოგადი დახასიათებისა, შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტოპონიმია და მისი წარმოების საშუალებანი,

დამუშავდა საქართველოს ოიკონიმიის ინვერსიული ლექსიკონი, რომელიც აღჭურვილია გამოკვლევითა და რუქებით, გამოიცა ფართო მკითხველისათვის

#15

გამიზნული ლიტერატურა, ცალკეული სტატიების სახით დამუშავდა საქართველოს ტოპონიმიის კერძო პრობლემები... ჩამოთვლილი მხოლოდ ერთი ნაწილია საქართველოს ტოპონიმიის კვლევისადმი მიძღვნილი ნაშრომებისა. ეს შრომები ფასეულია არა მარტო იმით, რომ კონკრეტული ენობრივი მოვლენების დადგენას ემსახურებიან, არამედ ყურადღებას იმსახურებენ კვლევის მეთოდებითაც.

ყოველივე ეს ტოპონიმიკურ კვლევა-ძიებას ეროვნულ ნიადაგზე აყენებს.

§7. ფორმოზრივი კლასიფიკაცია ეყრდნობა ტოპონიმიის ფორმოზრივ სტრუქტურას. მაგალითად, ფორმოზრივი კლასიფიკაციის დროს ერთად დაჯგუფდება: –ის სუფიქსის მიხედვით თბილ–ის–ი, შინდ–ის–ი... –ის–ა სუფიქსის მიხედვით გორ–ის–ა, პერეგ–ის–ა... –ეთ სუფიქსის მიხედვით კაკაბ–ეთ–ი, ნერგე–ეთ–ი, თელ–ეთ–ი და ა.შ. სა– პრეფიქსის მიხედვით: სა–თავ–ე, სა–ჩხერ–ე, სა–ბაჟ–ო, სა–გარეჯ–ო, სა–ჯავახ–ო... მაგრამ უფრო ჩაღრმავებული ანალიზი საკითხს სხვა კუთხითაც დაგვასმევინებს.

მაწარმოებელთა გარეგნული იდენტურობა შესაძლოა გვიანდელი ან შემთხვევითი იყოს, ანდა მნიშვნელობის თვალსაზრისით იყოს განსხვავება. სემანტიკური სხვაობა, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის იმას, რომ ორი ფორმანტი ფორმოზრივ იდენტურად მივიჩნიოთ, მაგრამ მაშინ უნდა დაიძებნოს კრიტერიუმი მოჩვენებითი ფონეტიკური მსგავსების თავიდან ასაცილებლად.

ამ დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ორი მომენტის გათვალისწინებას:

ა) რამდენადაა ნიშანდობლივი ამა თუ იმ რეგიონისათვის ტოპონიმიის წარმოების ესა თუ ის პრინციპი.

ბ) რა მიმართებას ამყარებს ტოპონიმიკური სისტემის სხვა წევრებთან საანალიზო ტოპონიმი.

ტოპონიმი ხერთვის–ი ერთი შეხედვით შესაძლოა –ის სუფიქსიანი ტოპონიმებს ამოვუყვანოთ გვერდით, მაგრამ (რომც არ ვიცოდეთ მისი ეტიმოლოგია: ხ–ე–რთვ–ი–ს

→ ხერთვის-ი – უძველესი ხ- პრეფიქსიანი ზმნაა გამოყენებული ტოპონიმის ფუძედ) ამგვარი კლასიფიკაციის მცდარობა მაშინ იჩენს თავს, როგორც კი სისტემის სხვა წევრებს შევუდარებთ მას: ხერთვის-ი → ხერთვის-ელ-ი, სადაც -ის და -ელ ერთმანეთს შეენაცვლება ერთსა და იმავე ფუძესთან. -ის სხვადასხვანაირად იქცევა.

აქედან შეიძლება დავასკვნათ: ტოპონიმის კლასიფიკაციისათვის აუცილებელია მისი „გაშიფვრა“. სხვა მხრივ შესაძლოა ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდეს სხვადასხვა რიგის ფაქტები.

ისმის კითხვა: თუკი არ ხერხდება ტოპონიმის ეტიმოლოგია, შევძლებთ კი მის მართებულ ენობრივ „გაშიფვრას“?

ის, რაც საზოგადო სახელებში ლექსიკური (ცნებითი) მნიშვნელობების

#16

გათვალისწინებით ამოიცნობა, შეუძლებელი ხდება საკუთარ სახელებში, რადგან მათ მოეპოვება მხოლოდ კონკრეტულ-საგნობრივი (და არა ლექსიკური, უკეთ: ცნებითი) მნიშვნელობა. ის საკუთარი სახელებიც კი, რომლებიც ერთმანეთის ფუძისგან იწარმოებიან, მნიშვნელობის თვალსაზრისით – განსხვავებით საზოგადო სახელებისაგან – არაფრით უკავშირდებიან ერთმანეთს. შდრ.: სადილ-ი → სა-სადილ-ო (საგნობრივი მიმართება სხვადასხვაა, მაგრამ ამოსავალი ცნებით ხერხდება ამ ორი მნიშვნელობის ერთმანეთთან დაკავშირება) და გარეჯ-ი → სა-გარეჯ-ო (აღინიშნება მხოლოდ განსხვავებული საგნობრივი მიმართება. ამ ორი ტოპონიმის დაკავშირება მარტოოდენ ეტიმოლოგიურად ხერხდება, მათი ისტორიისა და სახელების მოტივაციის გათვალისწინებით. სხვა მხრივ მათ აღარაფერი აქვთ საერთო – ორ სრულიად სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტს აღნიშნავენ).

საკუთარი სახელების ენობრივი „გაშიფვრა“ სულ სხვა პრინციპს უნდა დაემყაროს და ამისთვის არ არის აუცილებელი ამოცნობა მისი ფუძისათვის საყრდენი საზოგადო სახელის ფორმისა და მნიშვნელობისა. თუ რაა ეს პრინციპი, ზემოთ უკვე ვახსენეთ ხერთვის-ი ტოპონიმთან დაკავშირებით. ანუ: გასათვალისწინებელია საკუთრივ ტოპონიმის ენობრივი ქმედება (მოქცევა), მისი მიმართება სისტემის სხვა წევრებთან.

ნიმუშად ტოპონიმისა და მისგან ნაწარმოები წარმომავლობის სახელის ურთიერთობა იყო გაანალიზებული. ეს ურთიერთმიმართება რამდენიმე საკითხს აღძრავს.

ცნობილია, რომ –ის და –ეთ სუფიქსიან ტოპონიმებში ხდება ამ ფორმანტების მონაცვლეობა წარმომავლობის გამომხატველ –ელ და –ურ სუფიქსებთან:

$$\text{წავკ-ის-ი} \rightarrow \begin{cases} \text{წავკ-ელ-ი} \\ \text{წავკ-ურ-ი} \end{cases}$$

$$\text{ასევე: დუმ-ეთ-ი} \begin{cases} \text{დუმ-ელ-ი} \\ \text{დუმ-ურ-ი} \end{cases}$$

თანამედროვე ქართულში ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა: რიგ ტოპონიმებთან წარმომავლობის სუფიქსები ნაწარმოებ ფუძეს მიერთო (წავკ-ის-ი $\rightarrow$ წავკის-ელ-ი || წავკის-ურ-ი, დუმ-ეთ-ი $\rightarrow$ დუმეთ-ელ-ი || დუმეთ-ურ-ი...), თანაც ეს ეხება სალიტერატურო ენასა და ზოგიერთ დიალექტს; დანარჩენ დიალექტებში ადრინდელი ვითარება შემორჩა. სხვა ტოპონიმების მიმართება წარმომავლობის სახელებთან კი არ შეცვლილა:

$$\text{კახ-ეთ-ი} \rightarrow \begin{cases} \text{კახ-ელ-ი} \\ \text{კახ-ურ-ი} \end{cases}$$

ასეთი სხვადასხვაობა განუკითხავი არჩევითობის შედეგი სრულიადაც არ არის. პირიქით, იმის მიმანიშნებელია, რომ დუმ-ეთ-ი და კახ-ეთ-ი, მიუხედავად ერთი და იმავე –ეთ სუფიქსის მქონელობისა, ენობრივად მაინც

#17

განსხვავებული მონაცემია და ეს სხვაობა მათ წარმომავლობაში უნდა ვეძიოთ. მართლაც, ცნობილია, რომ კახ-ელ-ი ფორმის გვერდით კახ-ი არის დადასტურებული

და ეს უკანასკნელი უფრო ძველი ჩანს. თუ ასეა, მაშინ კახ-ეთ-ი ფორმისათვის თვით წარმომავლობის სახელი კახ-ი იქნებოდა ამოსავალი, ისევე, როგორც აფხაზ-ი → აფხაზ-ეთ-ი, ოს-ი → ოს-ეთ-ი, სპარს-ი → სპარს-ეთ-ი, ხევსურ-ი → ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ი → თუშეთ-ი და ა.შ. კახ-ელ-ი ინოვაციაა, ერთი სისტემიდან მეორე სისტემაზე გადასვლის შედეგი.

იყო: კახ-ი → კახ-ეთ-ი,

არის: კახ-ეთ-ი – კახ-ელ-ი – კახ-ურ-ი.

პირველ შემთხვევაში –ეთ სუფიქსით რთულდება ამოსავალი ეთნონიმი.

მეორე შემთხვევაში ერთსა და იმავე ფუძესთან –ეთ, –ელ და –ურ სუფიქსთა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.

ორი სხვადასხვა სისტემა, წარმოების ორი განსხვავებული პრინციპი აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდით, კახ-ი – კახ-ელ-ი ფორმების შემთხვევაში კი ერთმანეთის პარალელურად გამოყენებულიც.

სწორედ ამითაა შეპირობებული ის სხვაობა, დუშ-ეთ-ი და კახ-ეთ-ი ფორმებს შორის რომ წარმოჩნდა. მაშასადამე, არაა შემთხვევითობა, არამედ ისტორიული კანონზომიერება განსაზღვრავს ამ ფორმათა განსხვავებულ ენობრივ თვისებასა და მოქმედებას (ქმედებას). მოტივაციის კანონზომიერებით აისხნება ისიც, რომ –ელ და –ურ საკუთრივ ტოპონიმების მაწარმოებლადაც აღმოგვაჩნდება ხოლმე. ამ რიგისაა, მაგალითად, ყვარ-ელ-ი, გუდა-ურ-ი და მისთ.

ენის განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე ერთმანეთის პარალელურად იქნა დამოწმებული წავკ-ელ-ი და წავკის-ელ-ი. რა განმარტება უნდა მიეცეს სავსებით განსხვავებული პრინციპით ნაწარმოებ ამ ფორმებს?

ეს მოვლენა ენის განვითარების ზოგადი პოზიციიდან უნდა შეფასდეს. ამგვარი შეფასება ცვლილების ორ ნაირსახეობას ითვალისწინებს: ქრონოლოგიურსა და სივრცულს, ანუ: ისტორიულსა და დიალექტურს.

ჩვენს შემთხვევაში ფორმოზირვ ერთი და იგივე დაპირისპირება ცვლილების ამ ორივე ნაირსახეობას შეესაბამება იმის მიხედვით, თუ განხილვის რა თვალსაზრისი იქნება წამოყენებული:

ა) ერთი დიალექტის (ასევე: სალიტერატურო ენის) ფარგლებში ორი სისტემის მიმართება დუშ-ეთ-ი → დუშ-ელ-ი და დუშ-ეთ-ი → დუშეთ-ელ-ი განიხილება როგორც ქრონოლოგიური ნაირსახეობა, ანუ: როგორც ისტორიული ცვლილება.

ბ) ორი (ან მეტი) დიალექტის ფარგლებში, როცა ერთგან დამოწმებულია დუშ-ეთ-ი → დუშ-ელ-ი, ხოლო მეორეგან დუშ-ეთ-ი → დუშეთ-ელ-ი, ცვლილება განისაზღვრება როგორც სივრცული (ანუ: დიალექტური) ნაირსახეობა. ამგვარ გამიჯვნას არებითი მნიშვნელობა აქვს ტოპონიმთა კლასიფიკაციის თვალსაზრისითაც. მაგალითად, თანამედროვე სალიტერატურო ენის დონეზე დუშეთ-ი ფუძედაუშლადი ტოპონიმია, ისტორიულად (როცა მას დუშ-ელ-ი ფორმა შეესაბამებოდა) – დაშლადი იყო. ამჟამად ხსენებულ ტოპონიმში –ეთ მხოლოდ ეტიმოლოგიის (ანუ: ისევ და ისევ ისტორიის) თვალსაზრისით გამოიყოფა, იგივე ტოპონიმი ქართლური (და ზოგი სხვა) დიალექტის დონეზე უკვე დაშლადია, რადგან დუშ-ეთ-ი – დუშ-ელ-ი ცოცხალი მიმართებაა.

ამგვარ ცვლილებებს ხშირად თანამდევნი პროცესებიც ახლავს.

ტფილ-ელ-ი შეცვალა ტფილის-ელ-ი ფორმამ, ახლებური გამოთქმით: თბილ-ელ-ი → თბილის-ელ-ი; ანუ: თბილ-ელ-ი და თბილის-ელ-ი

#18

ქრონოლოგიურად განირჩა. იმავდროულად ენამ ეს ორი ნაირსახეობა სხვა დანიშნულებით გამოიყენა: თბილ-ელ-ი (ტფილ-ელ-ი) ამჟამად ან საეკლესიო წოდებაა, ან გვარის მაგივრობას ეწევა (ფსევდონიმია), თბილისის მაცხოვრებელს კი თბილის-ელ-ი ეწოდება. და ასე: მანგლ-ელ-ი, ურბნ-ელ-ი... ერთი მხრივ, და მანგლის-ელ-ი, ურბნის-ელ-ი... მეორე მხრივ.

§8. დასკვნა ასეთია: საკუთრივ ტოპონიმის სიტყვათწარმოებითი ინვენტარის კვლევა ვერ დაემყარება ცნებით მნიშვნელობებს, რადგან ტოპონიმს მარტოოდენ საგნობრივი მიმართება ახასიათებს. ეს კი აუცილებელს ხდის წმინდა ფორმოზრივი პრინციპების გამომუშავებას ტოპონიმთა სტრუქტურის საანალიზოდ. ამ პრინციპების დასადგენად ზემოაღნიშნულ მოვლენებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მათი

გათვალისწინება შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან იქნეს აცილებული მოჩვენებითი მსგავსების საფუძველზე მოსალოდნელი ცთომილებანი. მათგან არსებითია ტოპონიმის კვლევა სისტემიდან ამოსავლით (იგულისხმება სიტყვათწარმოებითი სისტემა).

მაგალითად, ბოტის–ი და წავკის–ი ერთი სტრუქტურისად ჩანან, ვიდრე გათვალისწინებული არ იქნება მათი მიმართება წარმომავლობის გამომხატველ სახელებთან (ანალოგიურად დაისვა საკითხი ზემოთ ხერთვის–ი ტოპონიმის მიმართაც). მოვიყვანთ შესაბამის დიალექტურ (ქართლურ) ტექსტს: „რა სადაური იყო: ბაზაზობა ქალაქური, ქარი დიდმური, საორაგულე მცხეთური, მელატურა მეგური... ავდარი ბოტის–ურ–ი, პური მოხის–ურ–ი, ვირი წავკ–ურ–ი, მეველე შინდ–ურ–ი“.

ბუნებრივია, რომ ბოტის–ი, მოხის–ი ტოპონიმების –ის ელემენტი ვერ დადგება წავკ–ის–ი, შინდ–ის–ი ტოპონიმებში დამოწმებული –ის ფორმანტის დონეზე. იგი ვერც ხერთვის–ი ტოპონიმის –ი–ს ელემენტებს ამოუდგება გვერდით, სადაც –ი ვნებითისეული სუფიქსია, აწმყოს ფორმებში რომ იჩენს თავს (ვ–ე–რთ–ვ–ი, ე–რთ–ვ–ი, ე–რთ–ვ–ი–ს... ანდა: ვ–ე–რთ–ვ–ებ–ი, ე–რთ–ვ–ებ–ი...), ხოლო –ს მესამე სუბიექტური პირის ნიშანია მხოლოდითი რიცხვისა. ბოტის–ი, მოხის–ი ტოპონიმების სტრუქტურა გამორიცხავს ამგვარ ანალოგიას.

იმავედროულად ტოპონიმმა შესაძლოა იცვალოს მიმართების ტიპის: შინდ–ურ–ი, წავკ–ურ–ი დიალექტების ერთ ნაწილში წარმოდგენილია როგორც შინდის–ურ–ი, წავკის–ურ–ი. ამ შემთხვევაში სხვაობა მოხის–ი და შინდის–ი ტოპონიმების ფორმოზრივ სტრუქტურებს შორის მხოლოდ ეტიმოლოგიის დონეზე გაირკვევა. სინქრონიულად მათ შორის სხვაობა ნიველირებულია.

§9. ზემოთ ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო სხვადასხვა ფუძესთან ერთი და იმავე ფორმანტის გამოყენების შემთხვევებზე: შინდ–ის–ი, წავკ–ის–ი, თბილ–ის–ი... დუშ–ეთ–ი, კახ–ეთ–ი, ხევსურ–ეთ–ი, სპარს–ეთ–ი და ა.შ. ანუ: ტოპონიმთა კლასიფიკაცია აფიქსაციის თვალსაზრისით იქნა შეფასებული.

იმავედროულად ტოპონიმებში ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა აფიქსის გამოყენების შემთხვევებიც მრავლადაა დამოწმებული:

თელ-ავ-ი, თელ-ეთ-ი, თელ-იან-ი, თელ-ოვან-ი, თერნალ-ი (← თელ-
#19

ბელ-ევ-ი, ბელ-ეთ-ი, ნა-ბელ-ავ-ი...

მერ-ევ-ი, მერ-ეთ-ი, მერ-ის-ი, მერი-ა (← მერე-ა)...

თერგვ-ის-ი, თერგვა-ნ-ი...

ყორნ-ის-ი, ყორან-თა, სა-ყორნ-ი-ა...

ლიხ-ი, ლიხ-ნ-ი, ლიხ-ეთ-ი, ლიხ-ა-ურ-ი...

ორბ-ეთ-ი, ორბ-ელ-ი...

რა თქმა უნდა, როგორც საკუთრივ ფუძის მაწარმოებელი, ყველა ეს ფორმანტი (-ავ, -ეთ, -ის, -ევ...) სინონიმურია: ხდება გეოგრაფიული პუნქტის სახელდება. მაგრამ საკითხი, ბუნებრივია, ამით არ ამოიწურება.

რითი უნდა აიხსნას ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა ფორმანტის გამოყენება?

გასათვალისწინებელია ორი შესაძლებლობა.

ა) საქმე გვაქვს დიალექტურ ნაირსახეობასთან. იგულისხმება სიტყვათწარმოების პრინციპთა ნაირსახეობანი: -ის ფორმანტი თითქმის არ გვხვდება კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ტოპონიმებში, სამაგიეროდ ხშირია მის ბადლად -იან ფორმანტის გამოყენება. ეს კი, თავის მხრივ, იმასაც ვარაუდობს, რომ ტოპონიმთა ანალიზის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ რამდენადაა დასაშვები ამა თუ იმ რეგიონში რომელიმე კონკრეტული ფორმანტის გამოყენება. ზემოხსენებულის მიხედვით, -ის ფორმანტიანი ტოპონიმები კახეთის რეგიონში სპეციალურ ახსნას მოითხოვს. უნდა შევნიშნოთ, რომ დიალექტური ნაირსახეობანი აქ საკუთრივ ტოპონიმთა წარმოების დონეზე იგულისხმება, რაც შესაძლოა განსხვავებულიც იყოს და დაემთხვეს კიდეც სხვა რიგის დიალექტურ ნაირსახეობებს. ყოველ შემთხვევაში, გამიჯვნა აუცილებელია.

ბ) ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა ფორმანტის გამოყენება შეიძლება მოტივაციის ნაირგვარობით იყოს შეპირობებული. საერთოდ, უნდა განსხვავდეს მოტივაციის ორი ნაირსახეობა: გარეენობრივი და შინაენობრივი. გარეენობრივი

თვალსაზრისით ერთი და იგივე მოტივაციაა აქვთ თელ-ავ-ი, თელ-ეთ-ი, თელ-იან-ი, თერნალ-ი (← თელ-ნარ-ი) ტოპონიმებს: ყველა შემთხვევაში შემაპირობებელია მცენარე („თელა“). შინაენობრივი თვალსაზრისით კი მათ შორის სხვაობაა -ავ, -ეთ-, -იან, -ნარ ფორმანტთა ფუნქციებითაა შეპირობებული. თუ რა სახისაა სხვაობა, ამის ტოპონიმთა ეტიმოლოგიური ანალიზი გაარკვევს...

§10. ორი სხვადასხვა ფორმანტის ფუნქცია შესაძლოა ნიველირებული იყოს ტოპონიმში მოტივაციისავე დონეზე. -იან და -ოვან ფორმანტები მქონებლობის ფუნქციას გამოხატავენ, მაგრამ მათ შორის სემანტიკური სხვაობაცაა: -იან არსებითად რაიმეს ფიზიკურ მქონებლობაზე მიანიშნებს, -ოვან კი – ძირითადად თვისების მქონებლობაზე:

ბალახ-იან-ი – ბალახით დაფარული.

ბალახ-ოვან-ი – ბალახის თვისების მქონე; ბალახისაგან შემდგარი.

ამ ფორმანტთა სემანტიკური ნეიტრალიზაცია თვით საზოგადო სახელის დონეზეც ხშირია, ტოპონიმებში – ჩვეულებრივია: თელ-იან-ი და თელ-ოვან-ი არსებითად ერთი ნიშნის მიხედვითაა სახელდებული.

შემდეგ: -ის-ა კუთვნილებას გამოხატავს, სა – ო დანიშნულებას.

#20

ტოპონიმის დონეზე ეს სხვაობა შესაძლოა ნიველირებული იყოს: პერეც-ი → პერეც-ის-ა და გარეჯ-ი → სა-გარეჯ-ო. პირველი მოტივირებულია როგორც პერეცისათვის განკუთვნილი, მეორე – გარეჯისათვის განკუთვნილი.

§11. საპირისპირო შემთხვევაა: მასალობრივ ერთი და იგივე ფორმანტი სხვადასხვა ფუძესთან განსხვავებულ მოტივაციას გულისხმობს.

თელ-ეთ-ი – სიმონ-ეთ-ი – ყანჩავ-ეთ-ი.

სამივე შემთხვევაში ერთი და იგივე -ეთ სუფიქსი გამოიყოფა, მაგრამ ტოპონიმების წარმოქმნას სხვადასხვა საფუძველი აქვს.

თელ-ეთ-ი იგივეა, რაც თელ-იან-ი, თელ-ოვან-ი ან თელ-ნარ-ი.

სიმონ-ეთ-ი ნიშნავს სიმონიძეებისა ან სიმონიშვილების საცხოვრისს. წარმოებულია ანთროპონიმის ფუძისაგან. სემანტიკურად იმავე ყაიდისაა, რაც: სიმონიძეები (ამგვარი წარმოების ტოპონიმები მრავლადაა).

ყანჩავ-ეთ-ი კი თვით ხდება ამოსავალი ანთროპონიმის საწარმოებლად: ყანჩავ-ელ-ი გვარია.

§12. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ორ სხვადასხვა ფორმანტს, გამოყენებულს ტოპონიმის მაწარმოებლად, შესაძლოა აღმოაჩნდეს იდენტური ენობრივი თვისება, მოქცევა. ამ ტიპისაა სწორედ -ის და -ეთ ფორმანტები. პირველი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია წარმომავლობით, მეორე კრებითი მრავლობითის ფორმანტი, დღესაც დაცული ამ მნიშვნელობით ქართული ენის ზოგ დიალექტში (მაგალითად, რაჭულში).

ა) -ის და -ეთ ერთნაირად მიემართება სადაურობის მაწარმოებელ -ელ და -ურ ფორმანტებს. ორგვარი შესაძლებლობაა: ტოპონიმისა ა წარმომავლობის სუფიქსები ერთმანეთს ჩაენაცვლება ერთსა და იმავე ფუძესთან: შინდ-ის-ი → შინდ-ელ-ი || შინდ-ურ-ი და დუშ-ეთ-ი → დუშ-ელ-ი || დუშ-ურ-ი. წარმომავლობის ფორმანტი მიერთვის ტოპოფორმანტს: შინდ-ის-ი → შინდ-ის-ელ-ი || შინდ-ის-ურ-ი, დუშ-ეთ-ი → დუშ-ეთ-ელ-ი || დუშ-ეთ-ურ-ი. ორივე ეს შესაძლებლობა გამოყენებულია ქართულში (როგორც ისტორიულად, ასევე სინქრონიულ დონეზე). ორივე შემთხვევაში -ის და -ეთ ფორმანტები ტოპონიმებში ერთნაირად იქცევა, ერთი და იმავე ფორმობრივი თვისებაა, ანუ: ერთი და იგივე ფორმობრივი სტატუსი აქვს. მასალობრივ სხვაობენ, განსხვავებული აქვთ ფუნქციაც, მორფოლოგიური მოქცევით კი იდენტური არიან.

ბ) როგორც -ის, ასევე -ეთ ფორმანტები დამოუკიდებლად აწარმოებენ ტოპონიმებს:

ტბ-ის-ი, შინდ-ის-ი, ცხემლ-ის-ი, ეგრ-ის-ი...

ტბ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, იმერ-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი, რუს-ეთ-ი, ოს-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი...

იმავედროულად ორივე შემთხვევაში თავს იჩენს ტენდენცია ამ პრინციპით წარმოებულ ტოპონიმთა გართულებისა სა- პრეფიქსით.

ამ თვალსაზრისითაც ერთნაირი მორფოლოგიური თვისება აღმოაჩნდა –ის და –
ეთ ფორმანტებს.

ამ რიგისაა სა-ცხენ-ის-ი, სა-მთ-ის-ი...

უფრო ზუსტად: სა-ცხენის-ი, სა-მთის-ი... რადგან სა-, როგორც ჩანს, უკვე
გაფორმებულ ტოპონიმს მიერთვის.

#21

შენიშვნა: ეს წარმოება არ უნდა აირიოს სა-ცხოვრ-ი-ს-ი, სა-ბრძან-ი-ს-ი, სა-
ვარგ-ი-ს-ი... ტიპის ფორმებთან, როცა ფუძედ ზმნის ფორმაა გამოყენებული. ამ
შემთხვევაში –ის იშლება: ზმნური სუფიქსი –ი და პირის ნიშანი –ს: ბრძან-ი-ს → სა-
ბრძან-ი-ს-ი... შდრ.: ვარგ-ი-ს → ვარგ-ი-ს-ი, ი-ქცევ-ი-ს → ი-ქცევ-ი-ს-ი, ი-ძრვ-ი-ს →
ი-ძრვ-ი-ს-ი... ანალოგიური პრინციპია გამოყენებული: ღირ-ს → ღირს-ი, არ-ს → არს-
ი, მ-რწამ-ს → მრწამს-ი... ასე რომ, სა-მთ-ის-ს და სა-ვარგ-ის-ი პრინციპულად
განსხვავებული წარმოების ფორმებია, მსგავსება შემთხვევითია, გარეგნული.

ასევე რთულდება –ეთ სუფიქსიანი ფორმაც: სა-ფრანგეთ-ი, სა-ბერძნეთ-ი, სა-
ფუტკრეთ-ი, სა-ცხენეთ-ი...

ძველი ქართული ენის ტექსტებში ფრანგ-ეთ-ი სა- პრეფიქსის გარეშეა
დამოწმებული: „...ვინ იყო ესოდენ მართლად აღმწონელ საქმეთა და მცნობელ
ვითარებასა კაცისასა, რომლისა აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი,
მეფენი და კელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგ-ეთ-ის-ა-
ნ-ი, შირვანისა და სპარსეთისანი...“ ამრიგად, ფრანგ-ეთ-. ამჟამად გვაქვს სა-ფრანგ-ეთ-
ი. მართალია, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფრანგ-ეთ-ი და სა-ფრანგ-ეთ-ი
ტერიტორიულად ერთმანეთს არ ფარავს, არსებითად სხვადასხვა სახელმწიფოს
აღნიშნავს, მაგრამ ამჯერად თვით ტოპონიმის წარმოების პრინციპი გვაინტერესებს. არც
ისე უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ამ შემთხვევაში სწორედ ტერიტორიული სხვაობის
გასარჩევადაა გამოყენებული ოდენ –ეთ და სა-ეთ წარმოება. საქმე ისაა, რომ ამ სახის
პარალელური წარმოება მაშინაცაა დამოწმებული, როცა ტერიტორიული განსხვავება
არა გვაქვს: სომხ-ეთ-ი და ას-სომხეთ-ი, ყივჩაყ-ეთ-ი და სა-ყივჩაყეთ-ი...

გავიხსენოთ ნაწყვეტი ზემოთ უკვე დამოწმებული ტექსტიდან: „...მეფენი და ჯელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი...“ ე.ი. ყივჩაყ-ეთ-ი. შდრ.: „პირმშოსა მისცა ნახევარი ლაშქარი და წარავლინა დიდსა საყივჩაყეთსა ვიდრე ბნელთადმდე...“ ე.ი. სა-ყივჩაყ-ეთ-ი.

შენიშვნა: სომხ-ეთ-ი – სა-სომხ-ეთ-ი ტიპის მიმართება უნდა განსხვავდეს ასეთი წარმოებისაგან: სომხ-ეთ-ი – სა-სომხით-ო („...ტყუე ყო ქუეყანა საბერძნეთისა და სასომხითოსა ვიდრე ზღუადმდე...“). აქ უკვე სა-ო აფიქსები აწარმოებენ ტოპონიმის ფუძეს. ტოპონიმთა ამგვარი წარმოება ქართულში ხშირია: ქართველ-ი → სა-ქართველ-ო, გარეჯ-ი → საგარეჯ-ო, გვაზავა → სა-გვაზავ-ო... ზოგჯერ ამ წარმოებაზე გადმოდის ის ფორმაც, რომლისთვისაც სულ სხვა რიგის მიმართება იყო ნიშანდობლივი. იყო: ეგრ-ის-ი → მ-ეგრ-ელ-ი (წარმომავლობის მ – ელ აფიქსებით ნაწარმოები ფორმა), რომელმაც შემდგომ ტოპონიმის საწარმოებლად სხვა პრინციპს მიმართა – ტოპონიმისათვის ამოსავალი გახდა წარმომავლობის სახელი: მ-ეგრ-ელ-ი → სა-მეგრელ-ო.

–ეთ სუფიქსიან ტოპონიმთა გართულება სა- პრეფიქსით განსაკუთრებით დიალექტურ მეტყველებაში იჩენს თავს, ზოგჯერ – უმართებულოდაც: ფშავ-ი → სა-ფშავეთ-ი.

#21

ზემოთქმულით აშკარაა, რომ –ის და –ეთ ფორმანტიანი ტოპონიმები ამ შემთხვევაშიც ავლენენ ერთსა და იმავე მიდრეკილებას.

დავსძენთ, რომ –ეთ სუფიქსიანი ტოპონიმები დიალექტურ მეტყველებაში სხვაგვარადაც რთულდებიან, კერძოდ, სა – ო ფორმანტებით (ანალოგიური ვითარებაა, სა-სომხით-ო ფორმაში რომ იქნა დამოწმებული):

ოს-ეთ-ი → სა-ოს-ეთ-ო: „მე რომ საოსეთოში ვიყავ ნაჩალნიკად“ (ალ. ყაზბეგი).

რუს-ეთ-ი → სა-რუსეთ-ო: „წავიდა სარუსეთოდა თეთრ-ქუდაების ჯარია..“

იმერ-ეთი → სა-იმერეთ-ო: „გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა შვილისშვილისა ჩემსა სოლომონს...“ ანდა: „მეფე ყოვლისა საიმერეთოდსა სოლომონ...“

ყოველივე ეს გვაგვარაუდებინებს, რომ სა–მთის–ი, სა–ფრანგეთ–ი ტიპის ფორმებში სა– დამოუკიდებელი ფორმანტია და არა სა–ის, სა–ეთ ცირკუმფიქსთა შემადგენელი ელემენტი.

ამასთან დაკავშირებით ერთი რამ უნდა აღინიშნოს საგანგებოდ: როდესაც –ის და –ეთ ფორმანტთა იდენტურ ენობრივ თვისებაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ამ ფორმანტების საკუთრივ ფორმობრივი მოქცევა, ქმედება. ღირსაცნობია ის ფაქტი, რომ ერთნაირი ფორმობრივი თვისება შესაძლოა ახასიათებდეთ სავსებით განსხვავებული სემანტიკის ფორმანტებს (ასევე: ფორმებს), ხოლო ერთი და იმავე ანდა ახლო მდგომი მნიშვნელობების გამომხატველი ფორმანტები კი ფორმობრივ სხვადასხვაგვარი თვისებით ხასიათდებოდნენ.

ვეძ–ის–ი, შინდ–ის–ი, ოძ–ის–ი ნანათესაობითარი ფორმებია, გამოყენებული ტოპონიმად. წარმომავლობით ყველა ეს ფორმა მსაზღვრელია. „მაგრამ ამგვარი წარმოება მარტო მხოლოდობით რიცხვს როდი ახასიათებდა, მას ჩვენ მრავლობითშიც ვხვდებით...“ ასე რომ, ბერ–თა, ბზა–თა, ბოსელ–თა იგივეა, რაც: ბერ–ები–ის, ბზ–ებ–ის, ბოსლ–ებ–ის... ანუ, ტოპონიმის დონეზე: ბერ–ებ–ის–ი, ბზ–ებ–ის–ი, ბოსლ–ებ–ის–ი... შდრ.: თელა–თ–ი (ისტორიულ ტაოში), გორა–თ–ი (შდრ.: გორ–ის–ა), ვანა–თ–ი...

–თა იმავე ფუნქციისა აღმოჩნდა აქ, რაც –ის ვეძ–ისი ტიპის ტოპონიმებში. მიუხედავად ამისა, მათი მორფოლოგიური თვისება სავსებით განსხვავებულია: შინდ–ის–ი → შინდ–ელ–ი, მაგრამ: ბერ–თა → ბერთ–ელ–ი...

#23

§13. ტოპონიმთა ფორმობრივი ანალიზი და კლასიფიკაცია მათი ფორმათწარმოების (ანუ: პარადიგმული რიგების) შესწავლასაც გულისხმობს. არსებითად ეს ეხება ტოპონიმთა ბრუნებას.

ძველ ქართულში „გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება საგრძნობლად განსხვავდება ადამიანთა სახელების ბრუნებისაგან და თითქმის მთლიანად უთანაბრდება საზოგადო სახელებისას...“ განსხვავება ძირითადად ისაა, რომ „გეოგრაფიულ სახელებს მრავლობითი რიცხვის ფორმები არა აქვთ და ვითარებითს თითქმის ყოველთვის დონის საშუალებით აწარმოებენ (ქართლ–დ)“. ღირსაცნობია ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში

ქართლ–დ და ქართლ–ად ფორმები სინტაქსური ფუნქციით არიან განსხვავებული: ქართლ–დ ადგილის გარემოებაა („და გამოვიდა იგი ნერსწს თანა ქუეყანად ქართლდ და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს“), ხოლო ქართლ–ად – უბრალო დამატება („არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“).

ამას შეიძლება დაემატოს ისიც, რომ –თ ელემენტთან სუფიქსებთან ვითარებითი ბრუნვის ნიშნად მარტოდენ –ა დასტურდება: სა–ბერძნ–ეთ–ა, სომხ–ით–ა... და ასე: სპარსეთა, სივნიეთა, თოშეთა, კახეთა, ჰინდოეთა... ამავე პრინციპს მიჰყვება ის ტოპონიმებიც, სადაც –ეთ ფუძისეულია: ნაზარეთ–ა...

საბერძნეთ–ა, თოშეთ–ა ნ. მარს მიცემითი ბრუნვის ფორმად მიაჩნდა და აღნიშნავდა, რომ ფუნქციური თვალსაზრისით ისინი შესაძლოა მიმართულებითი ბრუნვის ფორმებად იწოდონ. იმავედროულად იგი ამავე –ა ფორმანტს ხედავდა ახლ–ა, ნელ–ა, ჩქარ–ა ფორმებშიც. მართლაც, ეს ფორმები მიმართულებით ბრუნვად განისაზღვრა შემდგომ.

მიცემითი და ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვების ფორმობრივ–სემანტიკური სიახლოვე ტოპონიმის დონეზეც ხელშესახებად იჩენს თავს. სა–ბერძნეთ–ა ისევე შეიძლება წარმოადგენდეს მიცემითს (შდრ.: „წაველ მდინარის ნაპირ–ა–ს“), როგორც ვითარებითს („წაველ მდინარის ნაპირ–ა–დ“); შდრ. აგრეთვე „ქალაქ–ს წავიდა“ და „ქალაქ–ად წავიდა“ და მისთ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ შემდეგი ფორმები: ზმურ–ად და ძმურ–ა–ს („ძმურას დაიწყებენ სმა და მღერას...“), ანდა: შორ–ად და შორ–ს („წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“; ვეფხისტყაოსანი, 130⁴. ერთმანეთის გვერდითაა ახლო–ს და შორ–ად. იქვეა დამოწმებული: „შორ–ს არის თქვენი საზვარი...“ 144²⁴⁴).

ძველ ქართულში საკუთრივ ქართული და უცხო წარმომავლობის ტოპონიმები კუმშვა–კვეცის თვალსაზრისითაც იჩენდნენ სხვაობას: ქართული

#24

სტრუქტურის ტოპონიმები ამ მხრივ საზოგადო სახელების ჩვენებას იმეორებდნენ, უცხო წარმომავლობისა კი უპირატესად უკუმშველი და უკვეცელი

იყვნენ; შდრ.: ხანძთა → ხანძთ-ის-ა, სამცხე → სამცხ-ით, მერე → მერ-ისა, მაგრამ: ბეთანია → ბეთანია-დთ სინა-დს-ა...

ახალ ქართულში ბრუნების თვალსაზრისით ტოპონიმები საზოგადო სახელებს გაუთანაბრდნენ. სხვაობა ძირითადად იმით გამოიხატება, რომ ტოპონიმები მიმართულებასა და ადგილს შესაძლოა თანდებულის გარეშეც გამოხატავდნენ (მაშინ, როცა საზოგადო სახელებში თანდებულები ამ დროს აუცილებელია): ბათუმ-ს წავიდა, სოხუმ-ს არის წასული და მისთ. ამით უტოლდება ის საზოგადო სახელები, რომლებიც ადგილ-მდებარეობას აღნიშნავენ: ქალაქ-ს, ქალაქ-ად, სოფლ-ად მიდის, მთა-ს (მნიშვნელობით: მთაში, მთაზე) ვიყავ და ა.შ. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ: ახალ ქართულში ტოპონიმებთან უთანდებულო მიცემითის გამოყენება ამ შემთხვევაში სავსებით დასაშვებია: ბათუმ-ს, სოხუმ-ს, ბეთანია-ს, საბერძნეთ-ს... მიდის, წავა, წავიდა, მაგრამ არ გვხვდება ამ დანიშნულებით გამოყენებული უთანდებულო ვითარებითი (ესაა ერთ-ერთი არსებითი სხვაობა ძველსა და ახალ ქართულს შორის); ეს უკანასკნელი (მიცემითთან ერთად) დამოწმებულია სოფლ-ად, ქალაქ-ად ტიპის საზოგადო სახელებში.

ტოპონიმთა ბრუნვის ზოგი თავისებურება დიალექტური მეტყველების დონეზე იჩენს თავს. ეს საკითხი საგანგებო განხილვას მოითხოვს. ამჯერად ერთი ნიმუშით დავკმაყოფილდებით: არსებობს ტოპონიმი ქვეშეთ-ი (ამჟამად დუშეთის რაიონშია). ალ. ყაზბეგის „ელგუჯაში“ იგი ასეთი ნაირსახეობებით გვხვდება:

„გასწი ეხლავე ქვეშეთ-ს-ა და ნაჩალნიკს შეატყობინე...“

„საშუადღეოდ ქვეშეთ-იდ-ან ჯარი მოეშველებოდა...“

„გაემართნენ თავიანთ გზასა: მათია – ქვეშეთ-ს-ა-კენ და დანარჩენნი – თუშებისაკენ“.

მაგრამ იქვეა დამოწმებული: „ზედ კლდის პირზედ, სადაც მინდორი თავდებოდა, გაგი, რამდენიმე ცხენოსანთან ერთად, ქვეშეთ-ის-ა-კენ მიაჭენებდა“.

§14. ტოპონიმთა შინაარსობრივი (მნიშვნელობის მიხედვით) კლასიფიკაცია ხშირად გამხდარა სპეციალური მსჯელობის საგანი. ამ სახის კლასიფიკაცია არსებითად ორ ასპექტს მოიცავს:

ა) ტოპონიმთა განდასება საკუთრივ ტოპონიმიკის დონეზე, ანუ: უშუალოდ საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით – რა ობიექტი აღინიშნება ტოპონიმით.

ბ) ტოპონიმთა კლასიფიკაცია იმის მიხედვით, თუ რა საზოგადო სახელია მისთვის ამოსავალი: მცენარეთა სახელები (თელ–ეთ–ი, მუხ–ნარ–ი...), ცხოველთა სახელები (სა–დავთ–ი–ა → სა–დათვ–ე–ა, სა–ირმ–ე...), გეოგრაფიული ნომენკლატურა (სა–მთ–ის–ი, გორ–ის–ა, ხევ–ი) და ა.შ.

§15. ტოპონიმთა დაჯგუფება საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. ამის მიხედვით გამოიყოფა:

#25

ა) ორონიმები – რელიეფის სახელწოდებები,

ბ) დრომონიმები – გზების სახელწოდებები,

გ) ქორონიმები – ოლქებისა და რაიონების სახელწოდებები,

დ) ურბონიმები – ქალაქის ობიექტთა სახელწოდებები,

ე) ოიკონიმები – დასახელებულ პუნქტთა სახელწოდებები,

ვ) ჰიდრონიმები, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე ჯგუფად ნაწილდებიან: პოტამონიმები (მდინარეთა სახელწოდებები), ლიმნონიმები (ტბათა სახელწოდებები), პელაგონიმები (ზღვათა სახელწოდებები), ჰელანიმები (ჭაობთა სახელწოდებები).

ამგვარი კლასიფიკაცია, რომელიც ძირითადად გარეენობრივი ფაქტორითაა შეპირობებული, საკუთრივ ენობრივი თვალსაზრისითაც პოულობს საფუძველს. საქმე ისაა, რომ გამოიყოფა საწარმოებელი ინვენტარი, რომელიც ნიშანდობლივია ტოპონიმთა ერთი სახეობისათვის (ვთქვათ, ოიკონიმებისათვის) და არ გამოიყენება ტოპონიმთა სხვა სახეობის საწარმოებლად. მაგალითად, –ეთ და –ის ფორმანტები, როგორც წესი, ოიკონიმებს აწარმოებს, სამაგიეროდ, –ურ–ა უპირატესად ჰიდრონიმებში იჩენს თავს.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომს სხვადასხვა სახეობის ტოპონიმს ერთნაირი მაწარმოებლები არ აღმოაჩნდება (ვთქვათ, ვემ–ებ–ი ჰიდრონიმიც შეიძლება იყოს და ოიკონიმიც), მაგრამ ამ შემთხვევაშიც ენის შინაგანი კანონზომიერება მოქმედებს, თვით ფორმანტთა ენობრივი სტატუსითაა ეს შეპირობებული.

ამასთან დაკავშირებით დადგება საკითხი ტოპონიმთა მაწარმოებელი ფორმანტების ენობრივი რაობისა და შესაძლებლობის თაობაზეც.

აქვე უნდა იქნეს გათვალისწინებული ტოპონიმთა სიტყვათშეხამების უნარიც. მაგალითად, „ზემო“ და „ქვემო“, „ძველი“ და „ახალი“ მსაზღვრელები, ჩვეულებრივ, ოიკონიმებთან იჩენს თავს, ხოლო „მშრალი“, „ღრმა“, „(მ)ლაშე“ – უპირატესად ჰიდრონიმების მახასიათებლებია.

ამ მხრივ ტოპონიმები მკვეთრად იმიჯნება სხვა სახელებისაგანაც. მაგალითად, ეთნონიმი ოს–ი, ასევე ოს–ებ–ი ვერ შეიხამებს მსაზღვრელს „ძველი“ ან „ახალი“, მაგრამ ტოპონიმის დონეზე ასეთი შეხამება სავსებით დასაშვებია: ახალი ოსები და ძველი ოსები სოფლებია დუშეთის რაიონში (ლაფანანთკარი სასოფლო საბჭოში).

§16. ტოპონიმთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია ითვალისწინებს იმასაც, თუ რომელი საზოგადო სახელი შეიძლება იქნეს გამოყენებული მათ საწარმოებლად. ამ დროს არსებითად ხდება არა ტოპონიმთა, არამედ საკუთრივ იმ საზოგადო სახელთა კლასიფიკაცია, რომლებიც ტოპონიმთა საწარმოებელ ფუძედაა გამოყენებული.

ამგვარი კლასიფიკაცია გარკვეულად ეხმაურება დაჯგუფების ზემოდასახელებულ პრინციპს, მაგრამ არსებითი სხვაობაცაა. მაგალითად, თუკი პირველი პრინციპით თელ–ავ–ი და სა–ირმ–ე ერთად დაჯგუფდება როგორც დასახელებული პუნქტის აღმნიშვნელი სახელები, მეორე პრინციპი მათ განასხვავებს:

#26

თელ–ავ–ი ფლორის ამსახველ ტოპონიმებში გაერთიანდება, სა–ირმ–ე – ფაუნის ამსახველ სახელებს ამოუდგება გვერდით.

ამის მიხედვით გამოიყოფა ტოპონიმთა რამდენიმე ჯგუფი (კლასი):

ა) რელიეფის თავისებურებათა გამომხატველი ტოპონიმები: ქვ-იან-ი, მშრალხევ-ი... ზემო || ქვემო ლეთეთი, მაღალჯუმათი...

ბ) პატრონიმული ტოპონიმები, ანუ: ანთროპოტოპონიმები: ზაკურისციხე, ილურთკარ-ი, ანასეულ-ი...

გ) ფაუნის ამსახველი ტოპონიმები: სა-ირმ-ე, მგლ-იან-ი, გველ-ეთ-ი...

დ) ფლორის ამსახველი ტოპონიმები: ვაზ-იან-ი, კოპიტ-ნარ-ი, თელ-ეთ-ი...

ე) ისტორიული ვითარების ამსახველი ტოპონიმები: არაშენდა, შრომა, განახლება...

ვ) მითოლოგიური წარმომავლობის ტოპონიმები: დევის ნამუხლარი, კოპალა...

ზ) რელიგიური, საკულტო წარმომავლობის სახელწოდებანი: დიდი ჭყონი, საბაწმინდა, ნინოწმინდა, ნიკორწმინდა, გიორგიწმინდა...

თ) მემორიალური ტოპონიმები: ნინოშვილი...

და სხვა მისთანანი.

ბუნებრივია, ეს შეეხება იმ ტოპონიმებს, რომელთა ეტიმოლოგიური ანალიზი ხერხდება. ცალკე გამოიყოფა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ჯგუფი ეტიმოლოგიურად გაუმჭირვალე ტოპონიმებისა.

ამ ასპექტით კვლევა-ძიება უფრო სარგებლიანი თვით საზოგადო სახელებისათვის აღმოჩნდება ხოლმე, ვინემ საკუთრივ ტოპონიმებისათვის. და მართლაც, რომელიმე დედალფონ-ი ტოპონიმი ამ მხრივ იმითაა ღირსაცნობი, რომ მას „დედალ-“ ფუძის უფრო ძველი მნიშვნელობა შემოუნახავს; შდრ.: დედაფონ-ი, დედოფონ-ი (მნიშვნელობით: „მთავარი, ძირითადი ფონი“).

§17. ტოპონიმთა ამგვარი კლასიფიკაციის მართებულობას ზოგჯერ ეჭვობენ, მაგრამ დასაბუთება დამაჯერებელი არ არის: აღინიშნება, რომ ის სახელებიც კი, რომელთა ფუძე მართლაც გამოხატავს დასახელებული ობიექტის თვისებას (რელიეფს, ფლორისა და ფაუნის, ეკონომიურსა თუ სხვა თავისებურებებს), წარმოქმნილია არა ამ თვისებათა გამოხატვის საფუძველზე, არამედ ისტორიული მიზეზებით. განმარტება უზუსტობით სცოდავს: აქ ორი ფაქტორი – გეოგრაფიული (ასევე: ეკონომიკური) და

ისტორიული – ურთიერთსაწინააღმდეგო ან გამომრიცხველი კი არ არის, არამედ ურთიერთშემაპირობებელი და შემაჯავებელი. ისტორიული ვითარება განაპირობებს იმას, თუ ობიექტის მრავალ ნიშანთვისებათაგან კონკრეტულ ეპოქაში რომელი იქნება ამორჩეული მისი სახელდებისათვის, მაგრამ იმავდროულად, რა სახელიც უნდა იქნეს ამორჩეული, იგი ისევ და ისევ ობიექტის თავისებურებით იქნება განსაზღვრული. ერთი და იგივე ობიექტი გარკვეულ პერიოდში „ნაბელავად“ იხსენიება, რადგან იმ დროს სწორედ ეს ფაქტორი იყო მნიშვნელოვანი, სხვა დროს – „მჟავეწყლად“, რადგან ამ პერიოდში ობიექტის სწორედ ეს ნიშანთვისება აღმოაჩნდა ისტორიულად (თუ ეკონომიკურად) უფრო არსებითი.

ამდენად, თუ რა ნიშანი ამოირჩევა სახელდებისათვის, ეს მართლაც ისტორიულადაა განსაზღვრული. მაგრამ ის კი, რომ ობიექტის რომელიმე

#27

ნიშანია მაინც ამოსავალი, იმაზე მეტყველებს, რომ თვით ობიექტის რაობასაც ენიჭება არსებითი მნიშვნელობა.

გეოგრაფიულ–ეკონომიკური და ისტორიული ფაქტორები არის ორი აუცილებელი პირობა ამა თუ იმ პუნქტის სახელდებისათვის.

ამის უარყოფა იმ მაგალითით, რომ რომელიმე **Волково** მგლების სიუხვის გამო კი არ დაერქვა ობიექტს, არამედ მემამულის გვარის **Волков** მიხედვით, არ შეიძლება (თუმცა თვით ამ კონკრეტული ტოპონიმის განმარტება კი უთუოდ მართებულია).

არასწორი ეტიმოლოგია იმას არ ნიშნავს, რომ ტოპონიმს საერთოდ არ მოეპოვება ეტიმოლოგია.

ასე რომ, ტოპონიმთა ამგვარი კლასიფიკაცია სავსებით მისაღებია, ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ იგი ხდება არა საკუთრივ ტოპონიმის ფუნქციონირების, არამედ ტოპონიმის ეტიმოლოგიის დონეზე.

§18. ცნობილია ტოპონიმთა სხვა სახის შინაარსობრივი კლასიფიკაციებიც, მაგრამ ყოველი მათგანი არსებითად ზემოდასახელებულთა თავისებურ ნაირსახეობებს წარმოადგენს.

დავასახელებთ ზოგიერთს.

ტოპონიმები განდასებულია ანთროპოტოპონიმებად და ტოპოგრაფიული ვითარების ამსახველ სახელწოდებებად (ფ. პალაცკი, 1834 წ.).

სხვა პრინციპით, ტოპონიმები განიყოფება ანთროპოტოპონიმებად და აპელატიური წარმოშობის ტოპონიმებად. ამ უკანასკნელში კი გამოიყოფა სახელწოდებები, რომლებიც აღნიშნავენ წყალს, ხმელეთს, ფლორას, ფაუნას, ფერს, განაშენიანობას, ადამიანის საქმიანობას, ეთნიკურ და ეთნოგრაფიულ გარემოს (ფ. მიკლოშიჩი, 1872 წ.). ეს პრინციპი შემდგომი პერიოდის ბევრ მკვლევარს აქვს გამოყენებული.

ყურადღებას იქცევს ტოპონიმების ასეთი განაწილება: ა) ტოპონიმები, რომლებიც გამოხატავენ ადგილის გეოგრაფიულ თავისებურებებს და ბ) ტოპონიმები, რომლებიც ასახავენ ადამიანის დამოკიდებულებას მოცემული ადგილმდებარეობისადმი.

ზოგჯერ ზემოაღნიშნულს უმატებენ კიდევ ერთი ჯგუფის ტოპონიმებს: სახელწოდებებს, რომლებიც აღნიშნავენ ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის კულტურულ–სამეურნეო პირობებს (ფ. სოლმსენი, 1922 წ.).

არსებობს ასეთი კლასიფიკაციაც: ა) ტოპონიმები, რომლებიც გამოხატავენ ტოპოგრაფიულ თავისებურებებს, ბ) ანთროპონიმული წარმოშობის ტოპონიმები და გ) მითოლოგიური (ან ტოტემური) წარმოშობის ტოპონიმები (ა. დოზა, 1946.).

§19. გენეტური (ანუ: მოტივაციური) კლასიფიკაცია ამოსავალი ფუძეების მიხედვით აჯგუფებს ტოპონიმებს.

ამ კლასიფიკაციას უთუოდ აქვს შემხები წერტილები კლასიფიკაციის ზემოგანხილულ პრინციპებთან.

არსებითი სხვაობა ისაა, რომ გენეტური კლასიფიკაციის დროს ძირითადი, განმსაზღვრელი ხდება ტოპონიმთა მოტივაციის საკითხი.

სხვაგვარად: ტოპონიმთა გენეტური კლასიფიკაცია იყენებს ფორმოზრივი და შინაარსოზრივი კლასიფიკაციების შედეგებს გეოგრაფიული პუნქტების სახელდების მოტივირების დასადგენად.

ზემოთ აღნიშნა: შინაარსობრივი კლასიფიკაციის ერთ-ერთი პრინციპი

#28

ერთ ჯგუფში აერთიანებს ტოპონიმებს თელ-ავ-ი და სა-ირმ-ე როგორც დასახელებული პუნქტების სახელწოდებებს, მეორე პრინციპი კი ამავე სახელებს სხვადასხვა ჯგუფში განადასებს როგორც ფლორისა და ფაუნის ამსახველ ტოპონიმებს. გენეტური კლასიფიკაცია კი ამ ტოპონიმებს მოტივაციის პრინციპებს შესაბამისად დააჯგუფებს.

ხშირია შემთხვევები, როცა ერთი და იმავე წარმოების ან ერთი და იმავე შინაარსის ტოპონიმებს განსხვავებული მოტივაციები აქვს. მაგალითად, როგორც უკვე ითქვა, ფორმოზირვ ერთნაირი წარმოება აქვთ ტოპონიმებს თელეთ-ი, სიმონ-ეთ-ი და ყანჩავ-ეთ-ი (იხ. § 11). შინაარსობრივად (საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით) სამივე აღნიშნავს დასახელებულ პუნქტს (ოიკონიმი). მათი მოტივაცია კი პრინციპულად განსხვავებულია: თელ-ეთ-ი უკავშირდება აპელატივს „თელა“, ყანჩავ-ეთ-ი ამოსავალია გვარისათვის ყანჩავ-ელ-ი, ხოლო სიმონ-ეთ-ი კი, პირიქით, უკვე გვარის (სიმონიძე ან სიმონიშვილი) მიხედვით შეერქვა ადგილს.

იმავედროულად ერთნაირი მოტივაციის მქონე სახელები შესაძლოა ფორმოზირვი ან შინაარსობრივი თვალსაზრისით იძლეოდნენ სხვაობას. მაგალითად, წარმოებისა და მოტივაციის მხრივ იდენტურია სახელები ჯრუჭულ-ა და ქედ-ურ-ა: ორივე ნაწარმოებია ტოპონიმიდან (ჯრუჭ-ი და ქედ-ი), ორივე შემთხვევაში მაწარმოებელია – ურ-ა || –ულ-ა, მაგრამ არსებითი სხვაობაა შინაარსობრივად: ჯრუჭ-ულ-ა ჰიდრონიმია, მდინარის სახელია, ქედ-ურ-ა კი ყურძნის ერთ-ერთ ჯიშს ეწოდება.

ფორმოზირვი წარმოება განასხვავებს ტოპონიმებს თელ-ეთ-ი და თელ-იან-ი, მაგრამ როგორც შინაარსობრივად, ასევე მოტივაციის თვალსაზრისით ისინი ერთ დონეზე დგებიან: ორივე ოიკონიმი და ორივესათვის ამოსავალია აპელატივი „თელა“...

§20. ტოპონიმის საწარმოებელ ფუძედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) საზოგადო სახელი (აპელატივი). განირჩევა რამდენიმე შემთხვევა: აპელატივი შესაძლოა იქცეს ტოპონიმად ყოველგვარი გაფორმების გარეშე: თელა, ჭალა, წნორ-ი,

ზეგან-ი... უფრო ხშირია წარმოებული აპელატივების გამოყენება ამ მიზნით: მუხ-იან-ი, ვაშლ-ოვან-ი... (ოდენსუფიქსური), ნა-გუთნ-ი, სა-რეკ-ი, უ-რეკ-ი... (ოდენპრეფიქსული), ნა-გომა-არ-ი, სა-ვან-ე, სა-გვაზავ-ო... (პრეფიქს-სუფიქსური). საკმაოდ გავრცელებულია თხზული აპელატივები ტოპონიმის ფუნქციით: ახალშენ-ი, ახალქალაქ-ი, შუაუბან-ი, თეთრი წყარო გორდი ← გორდიდ-ი... თხზვის დროს გამოყენებულია გეოგრაფიული ტერმინები (მთა, ხევი ჭალა, წყარო: წინწყარო, სართიჭალა, ორხევი...), მთელის ცალკეული მონაკვეთების სახელწოდებები (თავი, უბე, ყელი: რუსთავი, კოშკასყელი, მუხათგვერდი...), ფერის აღმნიშვნელი სახელები (წითელწყარო, წყალშავი, წყალწითელა...) და სხვ.

#29

ბ) ეთნონიმი: თუშ-ი → თუშ-ეთ-ი, აფხაზ-ი → აფხაზ-ეთ-ი, რუს-ი → რუსეთ-ი... გამოიყენება მეორეული წარმოების ეთნონიმებიც: ქართველ-ი → სა-ქართველ-ო, მეგრელ-ი → სა-მეგრელ-ო... (შდრ.: ქართ-ლ-ი → ქართ-ვ-ელ-ი, ეგრ-ის-ი → მ-ეგრ-ელ-ი...).

გ) წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელები (სემანტიკური თვალსაზრისით ეთნონიმები ახლო მდგომნი): თბილ-ელ-ი → სა-თბილელ-ო... „სადაცა რა სა-თბილელ-ო არის, არასთანა სათხოვარი არ ეთხოვბოდეს“, ანდა: „ფიცხისის ნასოფლარი სა-თბილელ-ო არისო“, სა-თბილელ-ო თბილელი (თბილისელი) ეპისკოპოსის კუთვნილ ტერიტორიას ნიშნავს. თბილ-ელ-ი (ტფილ-ელ-ი) ოფიციალური საეკლესიო წოდებაა, შემდგომ გამოყენებული ტოპონიმის საწარმოებლად. წარმოების (და მასთან – მოტივაციის) პრინციპი იგივეა, რაც: ამირა → სა-ამირ-ო, ერისთავ-ი → სა-ერისთავ-ო, მთავარ-ი → სა-მთავრ-ო, ათაბაგ-ი → სა-ათაბაგ-ო, ხელმწიფე → სა-ხელმწიფ-ო (ეს უკანასკნელი იმთავითვე იძენს უფრო ფართო და ზოგად მნიშვნელობას).

დ) ანთროპონიმი: ანა → ანასეულ-ი, ბარათა → ბარათაულ-ი, ნერგამე → ნერგეეთ-ი, ბარათიანი → სა-ბარათიან-ო... ტოპონიმთა ამგვარი წარმოება ფეოდალიზმის (მიწაზე საკუთრების განმტკიცების) პერიოდს უკავშირდება. ანთროპონიზმი შესაძლოა ყოვლგვარი გაფორმების გარეშე იყოს ტოპონიმად ქცეული: ზარიძე, ქინქლაძე, ბორტაძე, უგანაძე, ქისტაძე. ჩვეულებრივ კი მრავალბოთის

სუფიქსით გაფორმებული ანთროპონიმი გამოიყენება ტოპონიმის ფუნქციით: ლაბაიძე-ები, მახალაკიძე-ები-ი (შდრ.: მახალაკაურ-ი), დავითურ-ნ-ი, ვეშაგურ-ნ-ი, კაიშაურ-ნ-ი... გამოყენებულია ზედმეტსახელებიც: ფოცხვრ-ები (შდრ.: ფოცხვერა, ფოცხვერაშვილი), მგლ-ები (შდრ.: მგელაძე მ-ს ჩავარდნით გელაშვილი, გელიაშვილი-ი).

ე) ჰიდრონიმი; გაფორმების გარეშე: სუფსა → სადგური: სუფსა, რიონ-ი → სადგური: რიონ-ი; ნაწარმოები: რიონ-ი → ნა-რიონ-ალ-ი (← *ნა-რიონ-არ-ი), თხზული: იზვარა || იზორა → იზვარისპირები || იზორისპირები-ი...

ვ) თვით ტოპონიმი: გარეჯ-ი → სა-გარეჯ-ო, პერევი-ი → პერევი-ის-ა, ჩხერ-ი სა-ჩხერ-ე...

ტოპონიმთა ნაწარმოების შესაძლებლობანი, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება. მაგალითები ნიმუშად იყო დასახელებული მხოლოდ. ზემოხსენებულითაც ნათელია: სხვადასხვა ფუძის გამოყენება ტოპონიმში არ იზღუდება.

§21. ტოპონიმთა საკლასიფიკაციო ყალიბების გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა აწ გამჭრალი ტოპონიმების რეკონსტრუქციისა.

ა) დასახელებული იყო ტოპონიმისაგან ახალი ტოპონიმის წარმოების შემთხვევები. მათ შეიძლება დაემატოს: ჭანიშო → ჭანიშოსგორი, კართანა → კართანისკლდე, აკამათი აკამათისთავი... აქ შემორჩენილია როგორც საწისი, ამოსავალი, ასევე ნაწარმოები, მეორეული ტოპონიმები. იმავდროულად ხშირად მხოლოდ მეორეული, ნაწარმოები ტოპონიმები შემორჩება, აღარ გამოიყენება მათთვის ამოსავალი სახელები, მაგრამ ამ უკანასკნელთა აღდგენა ხერხდება მეორეული წარმოების ტოპონიმთა ჩვენების საფუძველზე: ტოპონიმები

#30

მიჭრისგორი, კამატისკლდენი, ცოხისთავი შესაბამისად აღგვადგენინებს ტოპონიმებს. *მიჭრაკ-ი, *კამატ-ი, *ცოხ-ი.

ტოპონიმთა რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა ამგვარი მიმართებანიც: აბ-ი → აბ-ის-ი, აძვ-ი → აძვ-ის-ი, ტბა → ტბ-ის-ი, ცხმორ-ი → ცხმორ-ის-ი... ანდა:

გარეჯ-ი → სა-გარეჯ-ო, ჩხერ-ი → სა-ჩხერ-ე ტიპის მიმართებანი. აქედან გამომდინარე, ამჟამად რომც არ არსებობდეს ტოპონიმი აბ-ი, მის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს აბ-ის-ი.

არაა გამორიცხული, ამავე რიგისა იყოს მიმართებანი: ბაჯ-ი (ამბროლაურის რაიონი) – ბაჯ-ით-ი (საჩხერის რაიონი), ბორ-ი – ბორ-ით-ი (ორივე ორჯონიკიძის რაიონშია). ამასთან დაკავშირებით დადგება საკითხი მოლ-ით-ი, როკ-ით-ი ტიპის ტოპონიმთა ამოსავალი ფუძის რეკონსტრუქციის შესახებაც მათთვის საყრდენად სავარაუდო *მოლ-ი, *როკ-ი ფორმათა პოვნის თვალსაზრისით.

ბ) აწ გამქრალი ტოპონიმების აღდგენის შესაძლებლობას იძლევა წარმომავლობის სახელებიც, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც გვარსახელად ქცეულან ანდა გვარსახელის ფუძედ არიან გამოყენებული: შდრ.:

ყანჩავ-ეთ-ი → ყანჩავ-ელ-ი

თუხარ-ის-ი → თუხარ-ელ-ი

ოძ-ის-ი → ოძ-ელ-ი → ოძელა-შვილი

ორაგვე → ორაგვე-ელ-ი → ორაგველი-ძე

და შესაბამისად: გვარი კალმახელიძე დასაშვებს ხდის რეკონსტრუირებულ იქნეს ტოპონიმი კალმახ-ი. იგი მართლაცაა დადასტურებული ისტორიულად. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი და აღაშენეს ციხედ“. ანთროპონიმი ჭოხონელიძე გვაგვარაუდებინებს ტოპონიმს *ჭოხონ-ი, რომელიც შესაძლოა მესხეთში (ადიგენის რაიონში) არსებული ტოპონიმის წახან-ი მეგრულ-ჭანურ ეკვივალენტს წარმოადგენს.

–ელ სუფიქსიან წარმომავლობის სახელს აქვს პოტენცია ტოპონიმად იქცეს. დუშეთის რაიონში დამოწმებულია ტოპონიმი ჩოხ-ი, აქედან – წარმომავლობის სახელი (და შემდგომ კი – გვარსახელიც) ჩოხ-ელ-ი, ეს უკანასკნელი კი საფუძვლად ედება ახალ ტოპონიმს ჩოხელ-ნ-ი (დუშეთის რაიონშივეა).

ის შესაძლებლობა ადრევე იყო შენიშნული. თავის ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ ნარკვევში ვაჟა-ფშაველა სწერდა: „...და ჭეშმარიტებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბარით მომდინარი დღეს ლაშარში მლოცავები ძველად ბარში გადასახლებული ფშაველები არიან, უკვე „გაკახებულნი“, ფშაველები ამათ კახებს ემახიან. ჩვენ ვიცით კახეთში, გაღმა მხარეში, სხვათაშორის, ორი სოფელი, დამამტკიცებელი ჩვენის აზრისა: სოფელი ფშაველი და ყვარელი; პირველი თავის ვინაობას თვითონვე გვეუბნება, ხოლო მეორის სეხნია – სოფ. ყვარა დღესაცაა ფშავეში სოფლად და იმიტომ არც საკვირველია, ბარელთაგანი მლოცავი ლაშარის ჯვარს ამ სოფლიდან უფრო მეტი ჰყავს“.

#31

ამრიგად, ფორმობრივ და სემანტიკურ გარდაქმანათა გზა ასეთია:

ფშაველი (ტოპონიმი) → { ფშაველი (ეთნონიმი)
ფშაველი (წარმომავლობის სახელი) → ფშაველი (ტოპონიმი) → ფშაველი (წარმომავლობის სახელი).

ამგვარ მიმართებათა არსებობა რეალურს ხდის წარმომავლობის აღმნიშვნელ გვარსახელების მიხედვით იქნეს აღდგენილი ამჟამად არარსებული ტოპონიმი.

ანალოგიური დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ზოგჯერ –ურ სუფიქსსაც, რომელიც დიალექტების ერთ ნაწილში იმავე ფუნქციით გამოიყენება, რაც –ელ: კაკაბ–ურ–ი კაცი იგივეა, რაც: კაკაბ–ელ–ი კაცი.

§22. შეიძლება დავასკვნათ:

ა) ტოპონიმთა კლასიფიკაცია სამ ძირითად პრინციპს ემყარება: ფორმობრივს, შინაარსობრივსა და გენეტიურს.

ბ) ტოპონიმთა სრულყოფილი დახასიათებისათვის აუცილებელი ჩანს ამ სამივე პრინციპის კომპლექსური გამოყენება, რადგან: მასალობრივ ერთი შედგენილობის მაწარმოებლებს ან ერთგვაროვან ფონეტიკურ სახეცვლილებებს ხშირად ნაირგვარი

ფუნქცია (შინაარსი) და მოტივაცია აღმოაჩნდებათ და, პირიქით: ერთი ფუნქცია თუ ერთგვაროვანი მოტივაცია შესაძლოა ნაირგვარ ფორმებში წარმოჩნდეს.

გ) ტოპონიმია ენის ლექსიკური ფონდის შემადგენელი ნაწილია, ენის ზოგად კანონზომიერებებს ექვემდებარება, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ამა თუ იმ ენის საერთო წესების სპეციფიკურ მოხმარებას. საზოგადო სახელებთან საერთოობა აიხსნება იმით, რომ ტოპონიმი რომელიმე კონკრეტული ენის ბაზაზე იქმნება და მის ლექსიკას განეკუთვნება, თავისებურების მიზეზი კი ისაა, რომ ტოპონიმია დამოუკიდებელ სისტემას ქმნის ენაში. დამოუკიდებელ სისტემას კი წარმოებისა და შინაგან მიმართებათა თავისი წესები აქვს, შეპირობებული და შეხამებული ენის ზოგადი კანონზომიერებების მიერ.

Б.А. ДЖОРБЕНАДЗЕ

К КЛАССИФИКАЦИИ ТОПОНИМОВ

Резюме

1. С целью всестороннего изучения топонимии предполагается использование трех основных принципов классификации: формальный, семантический и генетический, т. е. принцип мотивации.

2. В статье на материале топонимии Грузии дается методика применения вышеназванных принципов как в отдельности, так при комплексном анализе.

3. Топонимия – составная часть лексического фонда языка, что и обуславливает ее общность с именами нарицательными: топонимия создается на базе какого-либо конкретного языка, использует формо – и словообразовательный инвентарь этого языка и всегда вторична по сравнению с именами нарицательными. Причина же формальной и семантической обособленности состоит в том, что топонимия создает независимую систему в языке. Классификация топонимии производится с учетом этих явлений.